

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (საკანონმდებლო მაცნე №41(48) 1999 წელი) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლს დაემატოს მე-5 ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. დანაშაულის მცდელობისათვის და მომზადებისათვის სასჯელის ვადა ან ზომა არ უნდა აღემატებოდეს დამთავრებული დანაშაულისათვის ამ კოდექსის კერძო ნაწილით შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ყველაზე მკაცრი სასჯელის მაქსიმალური ვადის ან ზომის ნახევარს.

2. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და დაემატოს მე-2¹ ნაწილი.

1. დანაშაულის ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოოდ სასჯელის დანიშვნისას ხდება მათი მთლიანად ან ნაწილობრივ შეკრება.

2. განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას სასამართლო ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატებს წინა განაჩენით დადგენილ სასჯელს.

2¹. თუ განაჩენთა და დანაშაულთა ერთობლიობა შედგება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან, საბოლოოდ სასჯელის დანიშვნისას მთლიანად შეიკრიბება ამ დანაშაულებებისათვის განსაზღვრული სასჯელები სხვა შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას გამოიყენება ნაწილობრივი შეკრება.

3. სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია.

5. თუ მსჯავრდებულს დანაშაულის ჩადენის მომენტში არ შესრულებია 18 წელი და მან პირველად ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული სასამართლო უფლებამოსილია, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით.

4. სისხლის სამართლის კოდექსის 71 მუხლს, გ.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

გ.1) თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-ე- 342¹ ასევე 162-164³ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

5. სისხლის სამართლის კოდექსის 72- მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის არანაკლებ ერთი მესამედი.

ბ) მძიმე დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის არანაკლებ ორი მესამედი.

6. სისხლის სამართლის კოდექსის 33 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.

7. სისხლის სამართლის კოდექსის 80-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სისხლის სამართლის პასუხისგებლობის დაკისრება ან მისგან განთავისუფლებისას არასრულწლოვანად ითვლება ის ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი.

8. სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს 1-ლი და მე-2 ნაწილები.

9. კოდექსის 414 მუხლიდან ამოღებული იქნეს მე-7 ნაწილი.

10. კოდექსის 42 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-5¹ ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მე-2 ნაწილი. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 1000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისად მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

5¹. ნაწილი თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანია ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს თუ მუშაობს ან გააჩნია საკუთარი ქონება.

11. სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება პირობით ვადამდე გაანთავისუფლოს სასჯელის მოხდისგან და ხემძღვანელობს სსკ-ის 72 მუხლით, რომლის ვადებიც არასრულწლოვანისათვის განახევრდება.

12. სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებული იქნეს 273-ე მუხლი.

13. სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

260-ე მუხლი. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა გასაღების მიზნით, წარმოება და გასაღება.

14. კოდექსის 260-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა გასაღების მიზნით, წარმოება და გასაღება.

15.. სისხლის სამართლის კოდექს დაემატოს 260¹ მუხლი და სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

260¹ მუხლი. ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის, უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, დამზადება გასაღების მიზნის გარეშე პირადი მოხმარებისათვის.

16. კოდექსის 260¹ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) ნაწილი. ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, დამზადება გასაღების მიზნის გარეშე პირადი მოხმარებისათვის ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებრივი სამსახურით შრომით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე.

2) ნაწილი. იგივე ქმედება ჩადენილი,

ა) დიდი ოდენობით,

ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ,

გ) არაერთგზის.

დ) იმის მიერ ვისაც ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული, რომელიმე დანაშაული

ისჯება გამოსწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით 1-დან 3 წლამდე.

3) ნაწილი. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-დან 5 წლამდე.

17. კოდექსის 153-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 2 დან 4 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე ან უამისოდ.

18. სისხლის სამართლის კოდექსის 154 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებში განხორციელდეს ცვლილებები სანქციის ნაწილში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გაავრცელებისგან,-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 დან 3 წლამდე.

2. იგივე ქმედება ჩადენილი ძალადობის მუქარით ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 დან 5 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე ან უამისოდ.

19. კოდექსის 162 მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში განხორციელდეს ცვლილებები სანქციის ნაწილში და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. არჩევნებში რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელების ხელის შეშლა-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-3 წლამდე.

მე-2 ნაწილი

- ა) სამსახურეობრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით,
- ბ) მოტყუებით,
- გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით,
- დ) ჯგუფურად,

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-5 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე ან უამისოდ.

20. სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ

კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტების გაყალბება, ხმების განზრახ არასწორად დათვლა, არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-7 წლამდე.

21. სისხლის სამართლის კოდექსის 164¹ მუხლში განხორციელდეს ცვლილებები სანქციის ნაწილში და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგის გამოქვეყნებამდე ამომრჩევლებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასებში გადაცემა ან მიყიდვა, უფასო მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალური ფასეულობათა გადაცემის დაპირება რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან არჩევნებში ხმის მიცემისაგან თავის შეკავების მიზნით, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა,-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-4 წლამდე.

22. სისხლის სამართლის კოდექსის 164² მუხლში სანქციის ნაწილში განხორციელდეს ცვლილებები და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

არჩევნების რეფერენდუმის ან პლებისციტეს დროს სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ან არაერთგზის ხმის მიცემა,-

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-3 წლამდე.

23. სისხლის სამართლის კოდექსის 164³ მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალების და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბება,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-7 წლამდე.

24. სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, -

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-3 წლამდე.

მე-2 ნაწილი. იგივე ქმედება

- ა) ძალადობით ან ძალადობის მუქარით
- ბ) სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით
- გ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3-5 წლამდე, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე ან უამისოდ.

25. სისხლის სამართლის კოდექსის 169 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სამუშაოდან უკანონო დათხოვნა, სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევა,-

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-3 წლამდე. თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის დაკავების უფლების ჩამორთმევით 3 წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი